განკარგულება:**g-37. 37262105**
თარიღი:**29/07/2026**

განკარგულება N47

29 ივლისი 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, შრომის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს.კ 26.02.09.292, 26.02.09.349, 26.02.09.136, 26.02.09.291, და 26.02.09.131) ტურისტული და დასასვენებელი კომპლექსის (დამხმარე ინფრასტრუქტურით) მშენებლობისათვის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შეთანხმებული იქნას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, შრომის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს.კ 26.02.09.292, 26.02.09.349, 26.02.09.136, 26.02.09.291 და 26.02.09.131) ტურისტული და დასასვენებელი კომპლექსის (დამხმარე ინფრასტრუქტურით) მშენებლობისათვის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

გამოყენებულია კვალიფიციური